საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა საირმის ქ. 51-ში მდებარე მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კონპლექსის მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე

საირმე ქ. 51-ში მდებარე მშენებარე მრაფალფუნქციური კომპლექსი შედგება მაღლივი საცხოვრებელი სახლისა და ცალკე მდგომი ავტოფარეხისგან.

მაღლივი შენობა 22 სართულიანია, ორი მიწისქვეშა სართულით. გეგმაში მართკუთხა ფორმის ზომებით 24.00 X 36.00 მ. მზიდ ჩონჩხედს წარმოადგენს ჩარჩოვან-კავშირიანი სისტემა. დაფუძნება განხორციელებულია დაყრდნობილი მოკლე ხიმინჯების და საძირკვლის ფილის საშუალებით.

პირველი სართულის იატაკის პირობითი ნიშნულ ±0,00 - ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 467,00, საძირკვლის ფილის ძირის ნიშნულია 458,80 /-8,20/.

ცალკემდგომი ავტოფარეხი ორსართულიანია. გეგმაში ზომებით 33,00 მ X 25,00 მ. კონსტრუქციული სქემა წარმოადგენს ჩარჩოვან სისტემას. საძირკვლები ორივე მიმართულების ურთიერთგადამკვეთი ლენტურ-კოჭურია. ძირის ნიშნულია 459,20 (-7,80).

მშენებარე კომპლექსს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ბურძგლას ქუჩაზე მდებარე დაბალი განაშენიანების ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოები და არასაცხოვრებელი დანიშნულების ერთსართულიანი ნაგებობები.

საცხოვრებელი კომპლექსის პირველი სართულის დონე შეესაბამება საირმის ქუჩის ნიშნულს, ბურძგლას ქუჩის ნიშნული კი გაცილებით დაბლაა, საშუალოდ 454,50. კერძო სახლების უკანა ეზოებში რელიეფი უფრო მაღლია და მერყეობს 457,00-459,00 ნიშნულებს შორის, რაც ნიშნავს, რომ მშენებარე კომპლექსის საძირკვლის ძირის ანუ

ქვაბულის ძირის ნიშნული მომიჯნავე ეზოების დონეებისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. დაშორება ავტოფარეხის განაპირა „თ-3“ ღერძსა და წითელ ხაზს შორის „1-3“ ღერძთან 1,6 მ-ია. „6-3“ ღერძთან კი 2,15 მ. მაღლივ შენობასთან კი დაშორება წითელი ხაზიდან იზრდება და აღწევს 9,00 მ. უშუალოდ საზღვარზე მდებარე საყრდენ კედელს კი ქვაბულის დამუშავებისას მუშა სიმაღლე მოაკლდება, რაც თავისთავად გაძლიერების ტოლფასია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ

დასკვნა: საირმის ქ. 51-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომლექსი ბურძგლას ქუჩაზე მდებარე მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე რაიმე სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

კონსტრუქტორი /ალექსანდრე ბეროშვილი/

02.02.2017წ.